სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/154

ქ. თბილისი

25 სექტემბერი 2025 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 41-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „რ[1]“ და „რ[3]“ ქვეპუნტების, 37-ე მუხლის „ე[1]“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №119/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) 2025 წლის 22 სექტემბრის MES 9 25 0001199043 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის სხდომის № 01-05-02/22 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. განხორციელდეს უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტების რეორგანიზაცია მათი გაერთიანების გზით და მათ ბაზაზე შეიქმნას აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი.

2. განხორციელდეს უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარებისა და სამთო გეოლოგიური ფაკულტეტების რეორგანიზაცია მათი გაერთიანების გზით და მათ ბაზაზე შეიქმნას სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი.

3. განისაზღვროს აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამები და აკადემიური დეპარტამენტები დანართი №1-ის შესაბამისად.

4. განისაზღვროს სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამები და აკადემიური დეპარტამენტები დანართი №2-ის შესაბამისად.

5. უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე შეიქმნას მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების აკადემიური დეპარტამენტი და გადატანილი იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო პროგრამები:

მეტალურგია - (ქართული);

მასალათმცოდნეობა - (ქართული);

სამაგისტრო პროგრამები:

მეტალურგია - (ქართული);

მასალათმცოდნეობა - (ქართული);

სადოქტორო პროგრამები:

მეტალურგია - (ქართული);

მასალათმცოდნეობა - (ქართული).

6. აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების და სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტების საბჭოების ფორმირებამდე, ფაკულტეტების საბჭოების უფლებამოსილებებს ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

7. აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის არჩევამდე, მის ხელმძღვანელად დაინიშნოს ლიანა თარგამაძე.

8. სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის არჩევამდე, მის ხელმძღვანელად დაინიშნოს ნოე ხოზრევანიძე.

9. ფაკულტეტების ხელმძღვანელებს დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის ფორმირების, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის განსაზღვრისა და სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

10. აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევამდე, მისი მოვალეობის შესრულება დაეკისროს ნინო ლომიძეს.

11. სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევამდე, მისი მოვალეობის შესრულება დაეკისროს თამარ ქობლიანიძეს.

12. მოწონებული იქნეს აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების და სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტების დებულებების, სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის პროექტები.

13. წინადადება ფაკულტეტების რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და შესაბამისი დებულებების, სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უნივერსიტეტის ერთიან საშტატო ნუსხაში ასახვის მიზნით.

14. მოწონებული იქნეს პროგრამების გადატანასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულებასა და საშტატო ნუსხაში და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უნივერსიტეტის ერთიან საშტატო ნუსხაში ასახვის მიზნით.

15. ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება:

ა) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანს, ლიანა თარგამაძეს;

ბ) აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანს, ედიშერ კვესიტაძეს;

გ) სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანს, თეიმურაზ კუნჭულიას;

დ) მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხელმძღვანელს, ნოე ხოზრევანიძეს.

16. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 02 ოქტომბრიდან.

17. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**